

ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

12.03.2014

№ 47

თბილისი


სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 10 მარტის №01/01-10 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყო 2014 წლის 12 მარტიდან და დასრულდეს 2014 წლის 25 მარტის ჩათვლით. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შენობაში (მის: აღმაშენებლის გამზ.№150ა, ტელ: 2 95 10 47), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 28 მარტს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.


რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში:

- ა). მთავარი მეცნ. თანამშ., 2 0.5 საშტატო ერთეული;
- ბ). მთავარი მეცნ. თანამშ., 4 სრული საშტატო ერთეული;
- გ). მთავარი მეცნ. თანამშ., 3 სრული საშტატო ერთეული;
- დ). უფროსი მეცნ. თანამშ., 4 0.5 საშტატო ერთეული;
- ე). მეცნიერი თანამშრომელი, 3 0.5 საშტატო ერთეული;
- ვ). მეცნიერი თანამშრომელი, 1 სრული საშტატო ერთეული.

2. კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში:

- ა). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 0.5 საშტატო ერთეული;
- ბ). მთავარი მეცნ. თანამშ., 2 სრული საშტატო ერთეული;
- გ). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- დ). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- ე). უფროსი მეცნ. თანამშ., 3 სრული საშტატო ერთეული;
- ვ). უფროსი მეცნ. თანამშ., 1 0.5 საშტატო ერთეული;
- ზ). მეცნიერი თანამშრომელი, 1 სრული საშტატო ერთეული.

3. ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილებაში:

- ა). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- ბ). მთავარი მეცნ. თანამშ., 3 სრული საშტატო ერთეული;
- გ). მთავარი მეცნ. თანამშ., 0.5 საშტატო ერთეული;
- დ). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- ე). უფროსი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- ვ). მეცნიერი თანამშრომელი, 2 სრული საშტატო ერთეული.

4. ბუნებრივი გარემოს დატუჯყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილებაში:

- ა). მთავარი მეცნ. თანამშ., 3 სრული საშტატო ერთეული;
- ბ). მთავარი მეცნ. თანამშ., 1 სრული საშტატო ერთეული;
- გ). უფროსი მეცნ. თანამშ., 4 სრული საშტატო ერთეული;
- დ). უფროსი მეცნ. თანამშ., 2 0.5 საშტატო ერთეული;
- ე). მეცნიერი თანამშრომელი, 1 სრული საშტატო ერთეული

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

სამეცნიერო (მთავარი მეცნ. თანამშ., უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლის) თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრებისა და განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლებისადმი საკონკურსო მოთხოვნებს. (იხ. www.ecohydmnet.ge)

- ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე (თანამდებობის ჩვენებით, ივსება ინსტიტუტში);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებული, მათ შორის 2009-2013 წლებში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

ზ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

თ) საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ. ხედვა (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის);

ი) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4)